დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2024 წლის 26-27 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2025 წლის 22 იანვარი

თბილისი
2024

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	404535810

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია გრ.მუხაძის საქართველოს ქირურგთა ასოციაცია, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გოდერიძე შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შოთა სილაგაძე სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხუარიანი საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	One-Cycle Educational Program of Medical Doctor
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მედიცინა - 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	N/A
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება 936106, 23/08/2022
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

„აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია, პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა და გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 09.08.2022; აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განისაზღვრა ვადა - 09.08.2024.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან უმაღლეს სამედიცინო განათლებას, რომლის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი. სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. პროგრამაზე დაშვება ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

პროგრამას აქვს ინტეგრირებული სტრუქტურა, რაც სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ოპტიმალური მოდელია. ეს ემსახურება ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურის, ფუნქციონირების და განვითარების გაცნობიერებას ორგანიზაციის ყველა (მოლეკულურიდან მთლიანი ინდივიდის) დონეზე. პროგრამა ფოკუსირებულია დაავადებათა, დაზიანებათა და განვითარების დარღვევებთან დაკავშირებულ ცვლილებებსა და მათ მკურნალობაზე, გამოსავალზე მოქმედ შიდა და გარე ფაქტორებზე. პროგრამის ვერტიკალზე მოდულების რამოდენიმეჯერ გამეორება ხდება მათი ცოდნისა და უნარების გაღრმავების მიზნით (შედეგად აგებულია სპირალური კურიკულუმი).

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ECTS- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას, მისი სტრუქტურა, სწავლის, სწავლების და შეფასების მეთოდები შეესაბამება როგორც უმაღლესი სასწავლების მისიასა და სწავლის მოსალოდნელ შედეგებს, ისე მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა 6-წლიანია და მოიცავს 360 კრედიტს. სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას (240 სამუშაო დღეს) და შედგება ორი სემესტრისგან – შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (20 კვირა). სემესტრებს შორის არდადეგებია.

სასწავლო წლის თითოეული 20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სასწავლო მოდულებზე და კურსებზე, ხოლო წლიური მოცულობა – 60 კრედიტს. 1 კრედიტი 30 სამუშაო საათია, საათების განაწილება საქონტაქტო და არასაკონტაქტო საათებად დამოკიდებულია სასწავლო კურსზე და მის შინაარსზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2022 წლის 09 აგვისტოს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განიხილა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი (ოქმი №935941, 23/08/2022) და მიიღო გადაწყვეტილება შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით (გადაწყვეტილება 936106, 23/08/2022), აღნიშნულის საფუძველზე მოცემული საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის საკითხი გათვალისწინებულ იქნა ცენტრის დირექტორის 2024 წლის 13 თებერვლის №153101 ბრძანებით დამტკიცებულ 2024 წლის მონიტორინგის გეგმაში.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21 ოქტომბრის №1357831 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (დავით ჯიქია - ჯგუფის თავმჯდომარე; თამარ გოდერიძე - ჯგუფის წევრი, თამარ გვიანიშვილი - ჯგუფის წევრი, შოთა სილაგაძე - ჯგუფის წევრი), რომელსაც დაევალა შპს - აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება (26-27.11.2024) და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს და დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს, ასევე განხორციელდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალლიერება. ვიზიტის დროს გამოიკვეთა დაწესებულებიდან დამატებითი დოკუმენტების მიღების საჭიროება, რაც დაწესებულებამ უზრუნველყო. ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტისა და დოკუმენტების შესწავლის შედეგები, რაც აისახა წინამდებარე დასკვნის პროექტში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

<u>I სტანდარტი</u> (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>II სტანდარტი</u> (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.4. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

<u>III სტანდარტი</u> (სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>IV სტანდარტი</u> (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.4. მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<u>V სტანდარტი</u> (**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**) –

- 5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია, დაწესებულებამ, პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები უზრუნველყოს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში მონაწილეობის უფრო მეტი შესაძლებლობით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - Cycle of life I და Cycle of life II სილაბუსებში არ არის აღწერილი შეფასების მეთოდები და მიზანშეწონილია სილაბუსში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი;
  - Clinical Skills II და III ის საგნებს, სადაც სააუდიტორიო აქტივობის შეფასება ხდება 30 ქულით, სასურველია ჩაიშალოს აღნიშნული აქტივობის შეფასების კრიტერიუმები.
  - სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები.
  - სასურველია, პერსონალის დოკუმენტაცია მოქცეული იყოს ერთ ჩარჩოში, შაბლონური ფორმით და დოკუმენტების განსაზღვრული ნუსხით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**
  - -

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ინფორმაციას

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
    - -

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მისიის თანახმად, აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი ხელი უწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ცდილობს მიაღწიოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ დონეს ადგილობრივ და საერთაშორისოშრომის ბაზარზე და წვლილი შეიტანოს განათლებაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

უნივერსიტეტის ხედვის თანახმად, იგი განახორციელებს ხარისხიან განათლებას მედიცინასა და ჯანდაცვაში, ასევე ეფექტურ მენეჯმენტს, კვლევებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უქმნის კომფორტულ გარემოს მათი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის - საერთო საზოგადოებრივი ღირებულებების განვითარებისა დაუწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვის მიზნით.

პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებას, რისთვისაც მის წინაშე დასახულია ამოცანები: კურსდამთავრებულებისთვის საბაზისო სამედიცინო და კლინიკური ცოდნის გადაცემა, შესაბამისი პრაქტიკული და კლინიკური უნარების განვითარება, პროფესიული ეთიკის ნორმების ჩამოყალიბება, კრიტიკულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება, პროფესიული ეთიკის და პროფესიონალიზმის ნორმების ჩამოყალიბება, სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციებში ორიენტირების და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზაობის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს როგორც სწავლის სფეროს, ისე სწავლების საფეხურს, ნათლად ასახავს რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს, რაც შეესაბამება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

მთლიანობაში დიპლომირებული მედიკოსის სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა ემსხურება კლინიკური პრობლემის და/ან სამედიცინო თემის კონტექსტში საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრირების ხელშეწყობას; მათი კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკის ეტაპისთვის და შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

პროგრამა შინაარსით და ფორმით შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ეფუძნება მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.

პროგრამა შესაბამისობაშია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS) და შეესაბამება ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტს აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურირებული სწავლის შედეგების პოლიტიკა, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ჩარჩოს პროგრამის შედეგების შესაფასებლად და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების შესრულების ინსტრუმენტს. წარმოდგენილი დოკუმენტიდან იკვეთება, რომ სწავლის შედეგები ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის მიზანთან (მიზნებთან) და მასში გათვალისწინებულია სწავლის სფეროს თავისებურებები.

დოკუმენტის სახით წარმოდგენილი სწავლის შედეგების პოლიტიკა ვრცელდება:

- პროგრამის ყველა სტუდენტზე, მათი სამართლიანი და თანმიმდევრული შეფასებისთვის;
- აკადემიურ პერსონალზე, ვინც პასუხისმგებელია პროგრამის შინაარსის განვითარებაზე, მიწოდებასა და შეფასებაზე, სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში;
- ასევე, ადმინისტრაციაზე: ყველა იმ სუბიექტზე, ვინც ჩართულია პროგრამის ზედამხედველობასა და შეფასებაში.

პროგრამა შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მოდიფიკაციისა და გაუქმების წესების“ მიხედვით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში შეფასების ძირითადი პრინციპებია: შედეგებზე ორიენტირებულობა, შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიები, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და თანასწორობა, უწყვეტი უკუკავშირი, შეფასების მეთოდების რეგულარული გადახედვა და განახლება - ხარისხის უზრუნველყოფა.

პროგრამის შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახით: კურსდამთავრებულმა იცის/აცნობიერებს ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების და დარგის ფუნდამენტური პრინციპები; პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება: პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა, კლინიკური შემთხვევების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენცირებული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა, მედიკამენტების გამოწერა, პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება, პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარების და ცოდნის გამოყენება, სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების მეთოდების და ცოდნის გამოყენება, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში ჩართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა. პროგრამის კურსდამთავრებული ჩამოყალიბდება როგორც პროფესიონალი, იქნება მიუკერძოებელი და დაიცავს პროფესიონალურ ეთიკას, ექნება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევის უნარები და ცოდნა. შესაბამისად აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს დარგობრივი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების კომპეტენციებს და შესაბამისობაშია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

შემაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც იძენს პროგრამის კურსდამავრებული. ასევე, პროგრამის შედეგები არის რეალისტური, აქტუალური, ნიღწევადი და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგ-რამა;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“ იკვეთება, რომ სწავლის შედეგების შეფასების პოლიტიკა ვრცელდება სტუდენტებზე, პროგრამების განმახორციელებელ პერსონალზე და ადმინისტრაციაზე (ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტზე, პროგრამის კომიტეტზე და პროგრამის ზედამხედველობაში და შეფასებაზი ჩართულ სუბიექტზე), სრულფასოვანი შეფასების მიზნით მოიაზრებს შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებას (არაპირდაპირ მეთოდებში მოიაზრება მაგ., სტუდენტთა გამოკითხვა, სტუდენტთა მიერ თვითშეფასება, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, პროგრამის დონის მატრიკები; პირდაპირ მეთიდებში მოიაზრება, მაგ.: გამოცდები, კლინიკური უნარების შეფასება, სამუშაოზე დაფუძნებული შეფასებები, სხვ.), შეფასების განხორციელების მექანიზმები (მაგ., შედგების რუკის შექმნა, უკუკავშირის ციკლი, სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგი). მითითებული დოკუმენტით განსაზღვრულია ზედამხედველობის და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებიც. პროგრამის შედეგების მიღწევის დადგენის მექანიზმად გამოიყენება როგორც აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება, ასევე პროგრამის შედეგებისა და ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების ურთიერთშესაბამისობის განსაზღვრა - წარმოდგენული პროგრამის კურიკულუმის ნაწილია ცხრილები „პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თავსებადობა“, „სწავლის ტრანსფერის შედეგების რუკა“ და „სწავლის სფეროს შედეგების რუკა“ (მითიებულია შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) ამ შედეგის ფორმირებაში). პროგრამის ხარისხის უზრუნვლყოფისთვის გამოიყენება დოკუმენტები „კლინიკური უნარების რუქა: პრაქტიკული უნარები და პროცედურები“, რომლებიც თითოეული მისაღწევი უნარისთვის განსახღვრულია დემონსტრირების საშუალება და პროგრამის ის კომპონენტი, რომლის მეშვეობით ხდება ამ უნარის ჩამოყალიბება.

დოკუმენტში „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების,

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების და შედეგების შეფასების მეთოდების ურთიერთკავშირი. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ერთ ერთ მექანიზმად გამოიყენება სწავლის შედეგისთვი სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა და მის მიღწევაზე დაკვირვება-ანალიზი და რეაგირება (მაგ., განხორციელებაზე დაკვირვება, ცდომილების გამომწვევი მიზნების იდენტიფიცირება და რეაგირება). როგორც პროგრამის შედეგებისთვის, ასევე პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგებისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული (პროგრამის კომპონენტის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ დარეგისტრირებულ სტუდენტთა არანაკლებ 75%-მა მიიღო დადებითი შეფასება და მიენიჭა კრედიტი, ხოლო პროგრამის შესაბამისი შედეგი მიღწეულად ითვლება, როდესაც დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე არაა ნაკლები 75%-ზე - დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ მიერ ეს მაჩვენებელი დადგენილია სხვადასხვა ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელი უცხოეთის უსდ-ების გამოცდილების შესწავლის შედეგად).

დაწესებულების მიერ წარმოდდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდედება მითითებული დებულებით და „სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიით“ დადგენილი წესით, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთაგან სპეციალური კითხვარების მეშვეობით მიღებული მონაცემებით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა ფასდება პირველ ჯერზე საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ციკლის დასრულების საფუძველზე, ხოლო შემდგომ - ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. მიღებული შედეგების წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელსა და სხვა პასუხისმგებელ პირებს, შემდგომი რეაგირების მიზნით.

ზემოთ მითითებულით დასტურდება, რომ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, მექანიზმები, მათი შეფასების პერიოდულობა, ასევე ფაქტი იმ მექანიზმების გამოყენებისა, რომელთა გამოყენება იყო Sესაძლებელი პროგრამის განხორციელების არასრული ციკლის პირობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა (LOAP)“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“ - დამატებით წარმოდგენილი;
- კურსების შეფასება (2023 წლის და 2024 წლის (გაზაფხულის სემესტრის) ანალიზი);
- „კლინიკური უნარების რუქა: პრაქტიკული უნარები და პროცედურები“;
- პროგრამის შეფასებები - რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის დანართები, ასევე დამატებით წარმოდგენილი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად, პროგრამა საკმაოდ კარგად არის ინტეგრირებული, სასწავლო გეგმის მოდულები და საგნები ემსახურება ადამიანის სტრუქტურის, ფუნქციის და განვითარების შესწავლას ორგანიზების თითოეულ დონეზე (მოლეკულურიდან ორგანულ სისტემებამდე და ინდივიდუალურ სხეულში), ნომენკლატურა და სტრუქტურა ორგანიზებულია გასაგებად და თანამიმდევრულად.

სასწავლო კურსი ***სიცოცხლის სტრუქტურა*** წარმოდგენილია 2 მოდულის სახით, პირველ და მეშვიდე სემესტრებში:

- სიცოცხლის სტრუქტურა I: (ძვალ-კუნთოვანი სისტემა: ადამიანის ანატომია, სამედიცინო ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, პათოლოგია);
- სიცოცხლის სტრუქტურა II: რევმატოლოგია, ტრავმატოლოგია და ორთოპედია.

სასწავლო კურსი ***სიცოცხლის კონტროლი*** წარმოდგენილია მეორე, მესამე, მეცხრე და მეთერთმეტე სემესტრებში 4 მოდულის სახით:

- სიცოცხლის კონტროლი I: ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია;
- სიცოცხლის კონტროლი II: ადამიანის ანატომია, სამედიცინო ფიზიოლოგია, ქცევათმეცნიერება, პათოლოგია, ქცევათმეცნიერება, სამედიცინო ფარმაკოლოგია;
- სიცოცხლის კონტროლი III: ნევროლოგია, ფსიქიატრია;
- სიცოცხლის კონტროლი IV: ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია;

სასწავლო კურსი ***სიცოცხლის ციკლი*** წარმოდგენილია მესამე, მეხუთე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე სემესტრებში 5 მოდულის ფარგლებში:

- სიცოცხლის ციკლი I: რეპროდუქციული სისტემა - ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, გენეტიკა, პათოლოგია;
- სიცოცხლის ციკლი II: რეპროდუქციული სისტემა - ადამიანის ანატომია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, სამედიცინო ფიზიოლოგია, პათოლოგია, სამედიცინი მიკრობიოლოგია, ფიზიკური დიაგნოზი;
- სიცოცხლის ციკლი III: ნეონატოლოგია, მეანობა, გინეკოლოგია, მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის ქირურგია;
- სიცოცხლის ციკლი IV: პედიატრია, ბავშვთა ქირურგია;
- სიცოცხლის ციკლი V: გერონტოლოგია;

სასწავლო კურსი ***სიცოცხლის შენარჩუნება*** მეხუთე, მეექვსე, მეცხრე და მეათე სემესტრებში ტარდება 6 მოდულის ფარგლებში:

- სიცოცხლის შენარჩუნება I: გასტროენტეროლოგიური და ენდოკრინოლოგიური სისტემები - ადამიანის ანატომია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, სამედიცინო ბიოქიმია, სამედიცინო ფიზიოლოგია, პათოლოგია, სამედიცინო მიკრობიოლოგია, სამედიცინო ფარმაკოლოგია, ფიზიკური დიაგნოზი;
- სიცოცხლის შენარჩუნება II: ნეფროლოგიური (საშარდე) სისტემა - ადამიანის ანატომია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, სამედიცინო ფიზიოლოგია, პათოლოგია, ფიზიკური დიაგნოზი;
- სიცოცხლის შენარჩუნება III: გასტროენტეროლოგია, აბდომინალური ქირურგია;
- სიცოცხლის შენარჩუნება IV: ენდოკრინოლოგია, ენდოკრინული ქირურგია;
- სიცოცხლის შენარჩუნება V: ნეფროლოგია, უროლოგია;

სსასწავლო კურსის ***სიცოცხლის დაცვა*** დაგეგმილია მეორე, მეოთხე და მეთორმეტე სემესტრში 4 მოდულის ფარგლებში:

- სიცოცხლის დაცვა I: იმუნოლოგია, პათოლოგია;
- სიცოცხლის დაცვა II: სისხლი და იმუნური სისტემა - სამედიცინო მიკრობიოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, სამედიცინო ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოქიმია, პათოლოგია, სამედიცინო ფარმაკოლოგია;
- სიცოცხლის დაცვა III: ჰემატოლოგია, ონკოლოგია, ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია
- სიცოცხლის დაცვა IV: დერმატოვენეროლოგია და ინფექციური;

სასწავლო კურსი ***სიცოცხლის უზრუნველყოფა*** დაგეგმილია მეოთხე და მერვე სემესტრებში 2 მოდულის ფარგლებში:

- სიცოცხლის უზრუნველყოფა I: გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემები: ადამიანის ანატომია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია და ციტოლოგია, სამედიცინო ფიზიოლოგია, პათოლოგია, სამედიცინო ფარმაკოლოგია, ფიზიკური დიაგნოზი;
- სიცოცხლის უზრუნველყოფა II: კარდიოლოგია, პულმონოლოგია.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ინტეგრაცია განხორციელებულია კარგად, პროგრამის შინაარსი, დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები წესრიგშია. პროგრამა ორგანიზებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. შესაბამისად, წინა შეფასებისას გაცემული რეკომენდაცია **„უსდ-მ უნდა გადახედოს მოდულების წინაპირობებს და ლოგიკურად დაალაგოს ისინი. მოდულები სასწავლო გეგმის კონკრეტულ სფეროებში უნდა იყოს უფრო სტრუქტურირებული და საგნების თანმიმდევრობა არ უნდა არღვევდეს ერთმანეთზე აგების პრინციპს“ - შესრულებული**ა, ვინაიდან შემუშავდა წინაპირობების მატრიცა, რომელშიც შევიდა აღნიშნული ცვლილებები. მაგალითად შეიძლება დასახელდეს მოდული „სიცოცხლის კონტროლი II“, რომელიც მოიცავს ნეიროფიზიოლოგიას, ქცევით მეცნიერებას, პათოლოგიასა და სამედიცინო ფარმაკოლოგიას, რომლის ძველი წინაპირობა „სიცოცხლის სტრუქტურა I“ ჩასწორდა და განახლებულ მატრიცაში არის „სიცოცხლის კონტროლი I“, რომელიც მოიცავს ნერვული სისტემის ანატომიას, ჰისტოლოგიას, ემბრიოლოგიასა და ციტოლოგიას. ამასთან, შემდეგი რეკომენდაციის - **„რეკომენდებულია სასწავლო გეგმის გადახედვა კურსების აკადემიურ-პროფესიული შინაარსის ურთიერთკავშირის საჩვენებლად, შესაძლო ხარვეზების, ზედმეტობის, გადაფარვების**

იდენტიფიცირებისთვის/აღმოფხვრისთვის და პროგრამის საერთო თანმიმდევრულობის გასაუმჯობესებლად“ - საფუძველზე დაიხვეწა სასწავლო გეგმა, გაერთიანდა Cycle of Life III და V, დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდა კვლევითი კომპონენტის (12 კრედიტი), ქართული ენის (14 კრედიტი) და კლინიკური უნარების (14 კრედიტი) კომპონენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგ-რამა;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“;
- პროგრამის წინაპირობების მატრიცა
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლ ო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა 6 წლიანია და მოიცავს 360 კრედიტს. სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას (240 სამუშაო დღეს) და შედგება ორი სემესტრისგან – შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (20 კვირა). სემესტრებს შორის არდადეგებია.

სასწავლო წლის თითოეული 20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სასწავლო მოდულებზე და კურსებზე, ხოლო წლიური მოცულობა – 60 კრედიტს. 1 კრედიტი 30 სამუშაო საათია, საათების განაწილება საქონტაქტო და არასაკონტაქტო საათებად დამოკიდებულია სასწავლო კურსზე და მის შინაარსზე.

პროგრამის ინტეგრაციული სტრუქტურა ემსახურება ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურის, ფუნქციონირებისა და განვითარების გაცნობიერებას ორგანიზაციის ყველა (მოლეკულურიდან მთლიანი ინდივიდის) დონეზე. ასევე ფოკუსირებულია დაავადებათა, დაზიანებათა და განვითარების დარღვევებთან დაკავშირებულ ცვლილებებსა და მათ მკურნალობაზე, გამოსავალზე მოქმედ შიდა და გარე ფაქტორებზე.

სწავლების საწყის ეტაპზე საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები ძირითადად ინტეგრირებულია „ზოგად“ (შესავალი) და „სპეციალურ“ მოდულებში. ზოგადი მოდულები შესავალ, აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ ერთის მხრივ სამედიცინო დისციპლინასთან აუცილებელ „წვდომის“ შენარჩუნებისა და მისი ზოგადი გაცნობიერებისთვის, და ამავდროულად ემსახურება (პრერეკვიზიტია) სპეციალურ მოდულში ორგანიზებული კურსების შინაარსის ინტეგრირებულ გაცნობიერებისათვის.

სპეციალური მოდულები, ფარავს ადამიანის ორგანიზმის სისტემებს. ამასთან, თითოეული მოდული რიგ შემთხვევებში მოიცავს ერთზე მეტ სისტემას. პროგრამის ვერტიკალზე მოდულების რამდენიმეჯერ გამეორება ხდება მათი ცოდნისა და უნარების გაღრმავების მიზნით (შედეგად აგებულია სპირალური კურიკულუმი).

კურიკულუმის მოდულები ორგანიზებულია 6 უმნიშვნელოვანესი მიმართულების ირგვლივ: სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის კონტროლი, სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის შენარჩუნება, სიცოცხლის დაცვა, სიცოცხლის უზრუნველყოფა. მოდულებში სწავლება უზრუნველყოფს კლინიკური საქმიანობისთვის ღირებული ცოდნის და პრაქტიკის თანდათანობით დაუფლებას სამედიცინო სერვისების უმთავრეს სფეროებში: მწვავე დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობა შემთხვევის ადგილზე და გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში; შინაგანი დაავადებების მკურნალობა; ქირურგიული პაციენტების მკურნალობა; მუშაობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში; ხანდაზმულთა მკურნალობა; ბავშვების მკურნალობა; ფსიქიატრიული პაციენტების მკურნალობა; გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა; ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში კრიტიკული მდგომარეობების მკურნალობა; სხვადასხვა პროფილის დაავადებების მკურნალობა (კარდიოლოგია, ნეფროლოგია, პულმონოლოგია და სხვ); ანესთეზიოლოგია; რეაბილიტაციური მედიცინა; სხვადასხვა პროფილის ქირურგიული მდგომარეობების მკურნალობა (უროლოგია, ტრავმატოლოგოგია).

სასწავლო კურსების/საგნების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ამასთან თითოეული კურსის შინაარსი და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფენ თითოეული საგნის/მოდულის სილაბუსით განსაზღვრული ცოდნისა თუ უნარების ათვისებასა და მიღწევას. შესაბამისად რეკომენდაცია **„უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სილაბუსში მითითებული უნარების ათვისების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყოს კურსის/მოდულის შინაარსით და შეფასების მეთოდებით“** - ექსპერტთა ჯგუფის აზრით შესრულებულია.

მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს შემდეგი ძირითადი კომპონენტების კრედიტების სტრუქტურირებულ განაწილებას. კონკრეტულად, სამეცნიერო კომპეტენციების განვითარება ითვალისწინებს 12 ECTS-ს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საჭირო კვლევისა და ანალიტიკური უნარების შეძენას და განვითარებას. ქართული ენის კომპონენტი მოიცავს 14 ECTS-ს, რომელიც მიზნად ისახავს

სტუდენტების ლინგვისტური ცოდნის ჩამოყალიბებას ჯანდაცვის კონტექსტში. გარდა ამისა, პროგრამაში 14 ECTS დათმობილია კლინიკურ უნარებზე, რაც სტუდენტებს სძენს პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც აუცილებელია ეფექტური სამედიცინო პრაქტიკისთვის. კურიკულუმში ასევე ინტეგრირებულია საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ორიენტირებული სასწავლო კურსი, რომელიც წარმოდგენილია 10 ECTS ოდენობით, ასევე გერონტოლოგია, რეომელიც წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს. გარდა ამისა, სხვადასხვა სემესტრში წარმოდგენილია არჩევითი კურსები, რაც სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას გააფართოვონ აკადემიური და პროფესიული კომპეტენციები სასწავლო სპეციალიზებულ სფეროებში.

სილაბუსებში წარმოდგენილი მასალა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყენებული ლიტერატურა, ძირითადი სახელმძღვანელოები არის თანამედროვე და შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და დასახულ ამოცანებს. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაცია **„კურსების/მოდულების უმრავლესობის სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს და შეფასდეს, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს“** - შესრულებულია, მაგალითად, განახლებულია კლინიკური ფარმაკოლოგიის (Bertram G. Katzung, Anthony J. Trevor.; Basic and Clinical Pharmacology. 14th ed. 2018) სახელმძღვანელო, ხოლო „კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლებში“ მითითებულია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურა (მათ შორის განახლდა - Robert S. Porter, Justin L. Kaplan. The Merck Manual of Diagnosis and Therapy 20th ed.2018).

ხოლო რეკომენდაციის **„OSCE-ს ტესტების საკონტროლო სიები უნდა შეესაბამებოდეს კურსის მასალას“** საფუძველზე უსდ-მ დადო ხელშეკრულება „საერთაშორისო კლინიკური განათლების ალიანსთან“, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის საგამოცდო ტესტებით, ქეისებითა და სცენარებით მომარაგებას კურსის მასალის და შინაარსის შესაბამისად. ამისა და კურსებში მასთან კორელაციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგ-რამა;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“;
- სილაბუსები;
- პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანეთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები აღწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში და თვალსაჩინოდ არის განთავსებული ვებგვერდზე. არის საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაში ასახულია ჩარიცხვის პროცედურები როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამაზე. ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების, საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) დაშვების წინაპირობაა:

- უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და სხვ.);
- ან ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც ინგლისურ

ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა);

- ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელის მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის ზემოხსენებული დონე.

ზემოაღნიშნული დაშვების წინაპირობების შესრულებისა და დაცვის შემოწმებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში ახორციელებს ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

უნივერსიტეტს აქვს სპეციალური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს სტუდენტების მობილობის პროცესებს, ასევე კრედიტების აღიარებას. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (რექტორის ბრძანება №01-29, 18.07.2023წ.)
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი, ჯამში 360 ECTS (სულ 10800 საათი, 5715 საკონტაქტო საათი და 5085 დამოუკიდებელი მუშაობის საათი). სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისაგან. თითოეული 20 კვირიანი სემესტრი იძლევა 30

კრედიტის (ECTS) დაგროვების საშუალებას, რაც გადანაწილებულია სასწავლო მოდულებსა და კურსებზე. წლიური დატვირთვაა 60 კრედიტი (1 კრედიტი = 30 სამუშაო საათი).სავალდებულო სამედიცინო საგნების საერთო მოცულობა შეადგენს 330 კრედიტს, ზოგადი და არჩევითი კურსების მოცულობა 30 კრედიტს, არჩევით კურსების ჩათვლით სამედიცინო კურსების მოცულობა შეიძლება იყოს 350 კრედიტი. კლინიკური უნარები ინტეგრირებულია სწავლის მე-6 (ბოლო) წლის ყველა კურსში. მე-12 სემესტრი მოიცავს ცვლებს და ხელმძღვანელობაში მონაწილეობას კლინიკური ასპექტებისა და პაციენტის მოვლის მიმართულებით, ეს მოიცავს საკვალიფიკაციო გამოცდებს ქირურგიაში, პედიატრიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, ინფექციურ დაავადებებში და ნევროლოგიაში. პროგრამა შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მოდიფიკაციისა და გაუქმების წესების“ მიხედვით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. სპეციალური მოდულების პროგრამული „მოწყობა“ ხელს უწყობს სამედიცინო მეცნიერებების საკითხებზე ფოკუსირებას, რომლებიც ფუნდამენტურია სამედიცინო პრაქტიკისთვის, ჯანდაცვისთვის და მისი ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, ის ეხება დაავადებების, ტრავმების და შეზღუდული შესაძლებლობების პრევენციის ფუნდამენტურ გააზრებას. საბაზისო სწავლების ეტაპზე ძირითადი სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები ჩართულია ზოგად (შესავალ) და კონკრეტულ მოდულებში. ზოგადი მოდული არის არსებითი ასპექტი (კურსი) სამედიცინო დისციპლინებთან კონტაქტისა და მისი ფართო გაგების შესანარჩუნებლად, მაგრამ ის ასევე უზრუნველყოფს სპეციალურ მოდულებში ორგანიზებული კურსების შინაარსის ინტეგრირებულ გაგებას. ყველაზე ფუნდამენტურ დონეზეც კი, საბუნებისმეტყველო მეცნიერება გამოიყენება კლინიკური უნარებისა და კლინიკური თეორიული თემების ფართო სპექტრის ინტეგრირებისთვის. კლინიკურ მეცნიერებათა დატვირთვა იზრდება შემდგომ სემესტრებში, ხოლო საბაზისო მეცნიერებები რჩება ინტეგრირებული, თუმცა უფრო მცირე ზომით, ვიდრე დასაწყისში.

სწავლის მე-6 კურსზე სასწავლო გეგმა დაფუძნებულია როტაციის ტიპზე, კლინიკურ ასპექტებში ხელმძღვანელობაში მონაწილეობაზე და პაციენტის მოვლაზე შემდეგ სპეციალობებში: შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, მეანობა-გინეკოლოგია, ინფექციური დაავადებები და ნევროლოგია. ბოლო კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა გააერთიანონ საბაზო და კლინიკურ მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნა და გამოიყენონ კლინიკურ პრაქტიკაში. სტუდენტი კრიტიკულად ამოწმებს შესრულებულ სამუშაოს (პაციენტის მოვლაში მონაწილეობა, პროცედურები, რომლებიც მან ნახა ან რომლებშიც მონაწილეობა მიიღო), კრიტიკულად განიხილება პაციენტების რეალური შემთხვევები (მათი დიაგნოსტიკა, მართვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები) და აღირიცხება პორტფოლიოში (ჟურნალებში); სტუდენტი კლინიკაში მომუშავე თანამშრომლე-ბისგან/მასწავლებლებისგან იღებს უკუკავშირს შესრულებული დავალებების შესახებ, რათა განიხილონ და შეაფასონ ისინი. ეს პროცედურები ითვალისწინებს წინა სააკრედიტაციო ვიზიტის რეკომენდაციებს. პროგრამაში შემავალი მოდულების/კურსების სილაბუსები დეტალურია და მოიცავს სრულ ინფორმაციას მოდულის/კურსის წამყვანი პედაგოგის/ების, მოდულის/კურსის კრედიტული და საათობრივი მოცულობის, მოდულის/კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლისა და სწავლების მეთოდების, შინაარსის, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის და მასალის, კურსის ათვისების თანმიმდევრობის, შეფასების მეთოდების შესახებ. ყველა სილაბუსში ნაჩვენებია, თუ როგორ მოწმდება შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევა. ვიზიტის დროს, გასაუბრებებიდან გამოვლინდა, რომ სილაბუსების შედგენისას პედაგოგები ეყრდნობიან პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსების მიზნებს და მოცანებს და შედეგები თანხვედრაშია პროგრამით გაწერილ სწავლის შედეგებთან.

პროგრამის ხელმძღვანელების და აკადემიური პერსონალის მიერ გადაიხედა მოდულების წინაპირობები, შემუშავდა წინაპირობების მატრიცა, რომელიც სტრუქტურირებული და თანმიმდევრულია. სილაბუსებში შევიდა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებები.ა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა
- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობების მატრიცა;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სწავლება-სწავლის მეთოდებით, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტზე: ლექცია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა: აერთიანებს სწავლების ყველა იმ მეთოდს, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარებს უყალიბებს, ხელს უწყობს თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლას, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. მათაგან ძირითადი მეთოდებია სემინარი, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობა, როლური თამაშები, აუდიო-ვიზუალური

მეთოდი, დისკუსია, სამედიცინო პრობლემების, ქეისების განხილვაზე დაფუძვნებული სწავლა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (PBL, CBL, CBCR); ელექტრონული სწავლება (E-learning); კლინიკური გამოცდილების შეძენა: სწავლების დროს აქტიურად ხდება სიმულატორების და მულაჟების გამოყენება საბაზისო კლინიკური ჩვევების გამოსამუშავებლად. ამავე დროს, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სტუდენტების მიერ რეალური კლინიკური გამოცდილების შეძენას. სტუდენტებს აქვთ კლინიცისტის პაციენტთან მუშაობაზე დაკვირვების შესაძლებლობა.

დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტის საჭიროებებს და შესაბამისი გარემოების არსებობისას სტუდენტის ჩართულობით შეიმუშავებს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა მოდულების სტრუქტურა და შინაარსი, სტუდენტების პრაქტიკული და თეორიული თანაფარდობები და თვითსწავლის ამოცანები. პროგრამის მოდულებს/კურსებს აქვს დეტალური სილაბუსები, რომლებიც მოიცავენ სრულ ინფორმაციას მოდულის/კურსის წამყვანი ლექტორების, კრედიტების, კოდის, წინაპირობების, მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლისა და სწავლების მეთოდების, შინაარსის, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის და მასალების, შეფასების კურსის თანმიმდევრობისა და შეფასების მეთოდების შესახებ. ყველა სილაბუსი აჩვენებს, თუ როგორ მიიღწევა საჭირო სწავლის შედეგები. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული და გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები თანხვედრაშია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან და უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას. სტუდენტთა სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კომპეტენციების ეროვნულ სტანდარტებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან რეკომენდაციების შესრულების შესახებ და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის როგორც კურიკულუმიდან (პროგრამიდან), ისე სილაბუსებიდან დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელის და სამუშაო ჯგუფის მიერ მნიშვნელოვნად გადაიხედა აქამდე არსებული შეფასების მეთოდები, დაკორექტირდა ისინი და კორელაციაში მოვიდა კურსის/საგნის სპეციფიკასთან, გახდა უფრო გამჭვირვალე და ადვილად აღსაქმელი. მანამდე არსებული პრობლემა, რაც გულისხმობდა შეფასების კომპონენტების ბუნდოვან განაწილებას, მიმდინარე და შუალედური შეფასების კომპონენტების ერთმანეთისგან გაუმიჯნაობას, განახლებული შეფასების სისტემის პირობებში აღმოფხვრილია, რისი მაგალითიც შეიძლება იყოს შემდეგი მოდულები Preservation of Life IV, Protection of Life II და სხვ. შეფასების სისტემის ცვლილების შესახებ ინფორმაცია დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროსაც, მათი აზრით, შეფასების მეთოდები დაიხვეწა და შეფასების სისტემაში შეტანილმა ცვლილებებმა პროცესი მნიშვნელოვნად როგორც გააუმჯობესა, ისე გაამარტივა. იქამდე არსებული ფორმულა, რომლის მიხედვითაც ხდებოდა საბოლოო შეფასების განსაზღვრა თითოეული შეფასების კომპონენტის შეწონვადი ჯამის საფუძველზე, შეიცვალა, გამარტივდა და უფრო პრაქტიკული გახდა. ამასთან, სტუდენტებთან გამართული ინტერვიუებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ გავლილი კურსების შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს, ასევე, ყოველი ახალი კურსის თუ მოდულის დაწყების წინ ისინი იღებენ ინფორმაციას შეფასების მეთოდების შესახებ კურსის განმახორციელებელი პერსონალისგან. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის წინა შეფასების დროს გაცემული რეკომენდაცია: "სილაბუსები უნდა მოიცავდეს გამჭვირვალე, ადვილად გასაგებ, კარგად განსაზღრულ ინტეგრირებულ შეფასების სისტემას" - შესრულე-ბულია; მაგრამ აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კურსის სილაბუსში, კერძოდ **Cycle of Life I** და **II** არ იყო მითითებული შეფასების მეთოდები, ხოლო **Clinical Skills II** და **III** შეფასების მეთოდის "საკლასო აქტივობა", რომელიც მოიცავს 30 ქულას, კრიტერიუმები არ იყო განმარტებული. აღნიშნული საკითხი აღინიშნა როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ისე აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დროს. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო აკადემიური პერსონალისგან შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების დეტალური ჩამონათვალი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია უბრალოდ გამოტოვებული იყო სილაბუსებში და პრობლემა მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. ამასთან. წინა შეფასების პირობებში ამ საგნებთან დაკავშირებით არსებული პრობლემა კურსის ბოლოს ერთი ინტეგრირებული საბოლოო გამოცდის ჩატარების აუცილებლობასთან დაკავშირებით, გადაჭრილია. შეფასების კომპონენტები არის ინტეგრირებული. კერძოდ ფინალურ გამოცდაში გაერთიანებულია მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსის საკითხები, სტუდენტს მოეთხოვება ინტეგრირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, „ქეისის" ანალიზი ან პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები, რაც განსაზღვრულია უსდ-ს შიდა რეგულაციებით.

პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრის დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც არის ობიექტური და

გამჭვირვალე, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა საჭიროება, რომ მათი ცნობიერება ამ შესაძლებლობის შესახებ გაიზარდოს.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დადგინდა, რომ აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, ხდება კითხვარებისა და სტუდენტებთან შეხვედრების მეშვეობით პრობლემების გამოვლენა და სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა.
პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ პროგრამაში დანერგილი არის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს როგორც კურიკულურ, ისე ექსტრაკურიკურულ აქტივობებს და მიღწეულ შედეგებს; სტუდენტებთან შეხვედრით დაზუსტდა, რომ მათ აღნიშნულთან დაკავშირებით აქვთ ინფორმაცია, თუმცა არა სრული, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა ჩაატაროს დამატებითი კონსულტაციები პორტფოლიოს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, განახლებული პროგრამით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გაკეთებული განმარტებითა და აკადემიურ პერსონალთან გამართული შეხვედრით დადასტურდა, რომ პროგრამის გადახედვისას ყველა ინტეგრირებულ მოდულში გაიწერა ინტეგრირებული გამოცდები, რომლებიც მოიცავენ მოდულში შემავალი საგნების თემატიკას. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკრედიტაციის პროცესის დროს გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, ყველა ინტეგრირებულ მოდულში ჩატარდეს ინტეგრირებული საბოლოო გამოცდები და ის მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სილაბუსებში და პროგრამაში" - შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა);
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული პორტალი;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- Cycle of life I და Cycle of life II სილაბუსებში არ იყო აღწერილი შეფასების მეთოდები და მიზანშეწონილია სილაბუსში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი;
- Clinical Skills II და III ის საგნებს, სადაც სააუდიტორიო აქტივობის შეფასება ხდება 30 ქულით, სასურველია ჩაიშალოს აღნიშნული აქტივობის შეფასების კრიტერიუმები.
- სასურველია გადაიდგას დამატებითი ნაბიჯები სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმთან, პორტფოლიოსთან, საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში სტუდენტი იღებს მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების კუთხით. დასაქმებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებით დაწესებულების მთავარი პარტნიორის, „ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის“ წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ აღნიშნულში დაწესებულებას გაუწიონ მხარდაჭერა. ამასთან დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა სტუდენტური აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა შორისაც არის 16 ოქტომბერს გამოცხადებული სტაჟირების პროექტი ინფექციური დაავადებებისა და ონკოლოგიური სექვენირების მიმართულებით. ვინაიდან სტუდენტთა უმრავლესობა არის დაწყებით კურსებზე და, შესაბამისად, ჯერჯერობით მათ აქვთ ენობრივი ბარიერი ადგილობრივი დასაქმების ბაზრისთვის, სასურველია, რომ დაწესებულებამ

გააძლიეროს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმი, რათა საერთაშორისო სტუდენტები მომავალში იყვნენ ამ შესაძლებლობით უზრუნველყოფილი.

დაწესებულებას აქვს მონაწილეობა მიღებული რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობაში, თავადაც აქვს განხორციელებული რამდენიმე სამეცნიერო პროექტი (მაგ; სამეცნიერო ჟურნალის შექმნა), თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული აქტივობის მაჩვენებელი გასაუმჯობესებელია და თვლის, რომ დაწესებულებამ სტუდენტებს შესთავაზოს მეტი შესაძლებლობა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში და საფეხურის დონის შესაბამის კვლევებში.

სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ისინი იღებენ აკადემიური/ადმინის-ტრაციული/მოწვეული პერსონალისგან კონსულტაციებს სასწავლო პროცესთან, საკუთარი შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა დამატებით შეხვდნენ კურსის ლექტორს/სემინორს, თუმცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკონსულტაციო საათები განსაზღვრულია და ეს შესაძლებლობა მათ უფლებებში შედის, სტუდენტებს ნაკლებად აქვთ, შესაბამისად საჭიროა, რომ სტუდენტების ცნობიერება ამ კუთხით ამაღლდეს. (იხ, რჩევა 2.4)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილობრივი და საერთაშორისო აქტივობების, სტუდენტთა ჩართულობის შესახებ მიღებული დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ, პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტები სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში მონაწილეობის უფრო მეტი შესაძლებლობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ფასდება

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვან დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 143 პირი, მათ შორის 38 აკადემიური პერსონალი, 105 მოწვეული პედაგოგი. აკადემიური პერსონალი განაწილებულია შემდეგგვარად - 7 პროფესორი (6 დარგობრივი მიმართულებით), მათ შორის აფილირებულია 4; 26 ასოცირებული პროფესორი (23 დარგობრივი მიმართულებით), მათ შორის 22 დოქტორის ხარისხის მქონე და აფილირებულია 10 პერსონა; 5 ასისტენტ-პროფესორი (5 დარგობრივი მიმართულებით), აფილირებულია 2. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, რომ უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. ამასთან, ვინაიდან საქმე ეხება ინგლისურენოვან პროგრამას, აუცილებელი იყო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება, რაც დამატებით გამოთხოვილი პერსონალის CV-ების საშუალებით მოხდა. აღნიშნული საკითხი დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაშია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას, მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები პროგრამის დატვირთულობასთან მიმართებაში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პერსონალის შერჩევა ხდება ღიად და მკაცრი წესით, რასაც ადასტურებენ ლექტორები გასაუბრებისას. აღსანიშნავია, რომ პერსონალის ნაწილი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც არის დაკავებული, რითაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თავისუფალი დროის შესაბამისად, რაც ზოგ შემთხვევაში გულისხმობს 6-8 საათს ლექცია-სემინარებს დღეში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი პერსონალის დატვირთვის სქემისა და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების საფუძველზე განისაზღვრა, რომ პერსონალის სხვა უსდ-ებში საქმიანობა საფრთხეს არ უქმნის პროგრამის განხორციელებას.

განმახორციელებელი პერსონალის დოკუმენტაციის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ინფორმაციის წარმოდგენის ფორმატი არაერთგვაროვანია, რაც ზოგადად ართულებს შეფასებას, ზოგ შემთხვევაში ხელმისაწვდომი არ იყო წარმოდგენილი ინფორმაციის განახლების თარიღი. სასურველია, პერსონალის დოკუმენტაცია მოქცეული იყოს ერთ ჩარჩოში, შაბლონური ფორმით და დოკუმენტების განსაზღვრული ნუსხით.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის და მოდერნიზებისათვის აუცილებელი ცოდნა და სათანადო გამოცდილება, იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მის დახვეწასა და განვითარებაში.

დაწესებულების სტრუქტურა და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას, უფრო კონკრეტულად კი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლები. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას, სათანადო დახმარებას და კლასგარეშე აქტივობებში ჩართულობას. თვალსაჩინოა რექტორის, მედიცინის სკოლის დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა და მზრუნველობა პროგრამის ფორმირებასა და განვითარებაში. ისინი მონაწილეობენ პროგრამის პერსონალის შერჩევაში, კოორდინაციას უწევენ კლინიკებთან მემორანდუმების ჩამოყალიბების პროცესებს, ზრუნავენ ინფრასტრუქტურულ და სხვა საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია პროგრამის სტაბილურობისა და მდგრადობისათვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის და კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის მეექვსე წელი ითვალისწინებს როტაციული წესით კლინიკურ პრაქტიკასა და პაციენტზე ზრუნვაში ზედამხედველობით მონაწილეობას შემდეგ სამედიცინო სპეციალობებში: შინაგანი სნეულებანი, ქირურგია, პედიატრია, მეან-გინეკოლოგია, ნევროლოგია, საოჯახო მედიცინა. დამამათავრებელი სემესტრის მიზანია სტუდენტის მიერ საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობათა კონსოლიდაცია. სტუდენტი შესრულებულ სამუშაოს (მონაწილეობა პაციენტის მოვლაში, ნანახი და/ან მისი მონაწილეობით ჩატარებული პროცედურები), ასევე რეალური პაციენტის ქეისებს (მათი დიაგნოსტიკის, მართვის, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს) განსჯის კრიტიკულად, ასახავს პორტფოლიოში (ლოგ-ბუკი); ექნება მათ მიერ შესრულებულ დავალებებზე უკუკავშირი კლინიცისტი-პედაგოგისგან, მათი განხილვის და შეფასების საშუალება. სტუდენტები უფრო შედეგიანად სწავლობენ, როცა აქვთ კლინიცისტის პაციენტთან მუშაობაზე დაკვირვების შესაძლებლობა. სტუდენტებმა იძენენ რაც შეიძლება მეტ გამოცდილებას პაციენტებთან კომუნიკაციით. ამისთვის ისინი ექიმის მითითებით ასრულებენ გარკვეულ დავალებებს, შემდგომ განიხილავენ პედაგოგებსა და სხვა

სტუდენტებთან (მაგალითად, ამზადებენ რეალური პაციენტის ქეისებს და წარმოადგენენ განხილვისთვის), რაც ასევე ხელს უწყობს ჯგუფში მუშაობის უნარის განვითარებას.

დაწესებულების მიერ შემუშავდა კლინიკური სუპერვაიზერების როლი, სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები. დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით იქნა შერჩეული მენტორები/სუპერვაიზერები, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სუპევაიზერებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები „კლინიკური სწავლების მეთოდოლოგიაში“

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალი**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის აფილირებული**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	ს რაოდენობა		დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**38**	**34**	**34**	**16**
- პროფესორი	7	6	6	4
- ასოცირებული პროფესორი	26	23	22	10
- ასისტენტ-პროფესორი	5	5	-	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	105	88	-	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგ-რამა;
- პერსონალის CV-ბი/დოკუმენტაცია;
- პერსონალის დატვირთვის მაჩვენებლები;
- აკადემიური-მოწვეული პერსონალის შეფასებები;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა“;
- სილაბუსები;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანეთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პერსონალის დოკუმენტაცია მოქცეული იყოს ერთ ჩარჩოში, შაბლონური ფორმით და დოკუმენტების განსაზღვრული ნუსხით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასებულა

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური პერსონალი სისტემატურად ფასდება ადმინისტრაციის მიერ, სტუდენტთა კითხვარებისა და კოლეგების შეფასების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აფასებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს გამოკითხვების და ლექცია/სემინარებზე დასწრების მეშვეობით. შედეგები ანალიზდება და შესაბამისი შედეგების გათვალისწინება ხდება შემდეგი სემესტრის დატვირთვებში.

დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით. კლინიკური გამოცდების ცენტრის ფუნქციონირებისთვის გამოყოფილია შესაბამისი ფართი და შეძენილიააღჭურვილობა და მასალები. ჩატარდა ტრენინგები და გადამზადდა 4 თანამშრომლი OSCE-ს შეფასების მეთოდებში.

დაწესებულება ეხმარება პერსონალს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღებაში.

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის და ინტერვიუებზე მიღებული მონაცემების თანახმად, უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების შესწავლას გამოკითხვების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV-ბი/დოკუმენტაცია;
- პერსონალის დატვირთვის მაჩვენებლები;
- აკადემიური-მოწვეული პერსონალის შეფასებები;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანეთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს

შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას, სასწავლო აღჭურვილობას და შესაბამისი გამოყენების ინსტრუქციებს, რაც აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით ესაჭიროება პროგრამის განხორციელებას. სხვათა შორის მას აქვს კარგად აღჭურვილი სალექციო დარბაზები, პროექტორებითა და კომპიუტერებით, სიმულაციური ცენტრი, სამუშაო ფართები სტუდენტებისათვის, ასევე, თავისუფალი დაშვება ბიბლიოთეკაში. სამედიცინო სიმულაციის კლინიკა განახლდა და აღიჭურვა იქნა დამატებითი მულაჟებით და სახარჯი მასალებით, რათა უზრუნველეყო აუცილებელი მასალები პროგრამის განხორციელებისათვის. კლინიკური სწავლისათვის დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება რიგ კლინიკებთან და ჰოსპიტალებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შპს „ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკა“, რომელიც დაწესებულების ძირითად ბაზას წარმოადგენს პრაქტიკული საქმიანობის ჭრილში, გამომდინარე იქედან რომ კლინიკა მრავალპროფილურია. იგი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საკმარის და ადეკვატურ რესურსებს, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კლინიკის ადმინისტრაცია ორიენტირებულია სტუდენტებისათვის კარგი სამუშაო გარემოს შექმნისთვის; კლინიკაში სასწავლო პროცესის შესაბამისად წარმართვის მიზნით დამატებით გამოყოფილია 15 სასწავლო ოთახი, საერთო ფართი აღემატება 380მ^2. დამატებით სასწავლო/სამეცნიერო პროცესისათვის „ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკის“ ბაზაზე ფუნქციონირებს პათოლოგიის ლაბორატორია. საერთო ჯამში, სტუდენტებს აქვთ მასტიმულირებელი სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით, ფართით და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობებით.

ბიბლიოთეკის გარემო მოიცავს შემდეგ ფართებს: სამკითხველო დარბაზს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის ფართს, ჯგუფური მუშაობის და პერსონალის სამუშაო სივრცეს. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, პრინტერით, უკაბელო ინტერნეტით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი ფართით. IT აღჭურვილობის მდგომარეობა და ფუნქციონირება დამაკმაყოფილებელია. უნივერსიტეტი პერიოდულად აახლებს საბიბლიოთეკო ფონდს სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის ახალი გამოცემებით.

განხორციელებული სტუდენტური გამოკითხვის შედეგები მატერიალური რესურსების თაობაზე - დამაკმაყოფილებელია. ინტერვიუების მსვლელობისას სტუდენტების მხრიდან ხაზი გაესვა OSCE გაზრდილ რაოდენობასა და განახლებულ ბიბლიოთეკას. სტუდენტებსა და პერსონალს ხელი მიუწვდებათ და დატრენინგებულნი არიან საერთაშორისო (EBSCO) ელექტრონული მონაცემთა ბაზებით სარგებლობაში.

უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმების, პარტნიორი კლინიკების რაოდენობისა და რესურსების გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა;

- წარმოდგენილი დანართები: „ახალი წიგნები“, „საგამოცდო ცენტრი“; დამატებით მოთხოვნილი: „ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკა“ - სასწავლო ფართების რეესტრი. კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრება/ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, შპს „ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმდგენილია დოკუმენტი „2024 - 2027 წლების ფინანსური ანგარიში/ Financial report of 2024-2027“, რომელშიც მითითებულია როგორც მიმართულებები, რომლებიც დაფინანსდება ბიუჯეტიდან, ასევე დაფინანსების ოდენობა. მაგ., ბიუჯეტიდან დაფინანსდება ადმინისტრაციული და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხელფასის ხარჯები, კომპიუტერული პროგრამის ხარჯები, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი სამუშაოს ხარჯები, სტუდენტური აქტივობების დაფინანსება, მატერიალური რესურსის ამორტიზაციის და ცვეთის ხარჯები, ახალი სივრცის რემონტის ღირებულება და სხვ. (2022 წელს განხორციელებული გარე შეფასებისას იყო გაცემული რჩევა კვლევებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერისთვის ფინანსური ვალდებულების შესახებ, რაც შესრულებულია - პროგრამის ბიუჯეტში ამ მიმართულების დაფინანსება გაწერილია 2024-2027 წლებზე). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია პროგრამის რენტაბელობის გათვალისწინებით (რენტაბელურია 200 სტუდენტის შემთხვევაში). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება საუნივერსიტეტო კლინიკის („ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა“, ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №103) ბაზაზე, რაც თავის მხრივ ქმნის პროგრამის განხორციელების მდგრადოების საფუძველს. დღეისათვის, პროგრამის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა სწავლის საფასური, ამავდროულად დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით არსებობს სხვა წყაროებიც - მაგ., დამფუძნებელთა ინვესტიციები, რისი ვალდებულება და მოცულობა წინასწარ დოკუმენტირად არის განსაზღვრული. ასევე, ინტერვიუში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის დამატებითი დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში (მაგ.,

პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის კლევის შემთხვევაში), დაფინანსება მოხდება დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელიც არის ყოველწლიურად მზარდი და წარმოადგენს ფროგრამის ფინანსური მდგრადობის პირობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება რამდენიმე დოკუმენტრით, მათ შორის: „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა (LOAP)"; „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება".

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება ისეთ ძირითად ღირებულებებს, როგორიცაა მაგ.: დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება; პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა უნივერსიტეტის საქმიანობაში; პრობლემების მუდმივად იდენტიფიცირება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება; დაწესებულებაში გუნდური მუშაობა და პროცესების მართვაზე პასუხისმგებლობის აღება, სხვ.

დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად, პროგრამა შეიმუშავა პროგრამის გამვითარების ჯგუფმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდენ დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები (კომპეტენციის სფეროს შესაბამისად) და გარე ექსპერტები. პროგრამის შეფასება მოიაზრებდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის შესაბამისობის დადგენას დაწესებულების მისიასთან, პროგრამის მიზნების, სტრუქტურის, შედეგების (მათ შორის, დარგობრივი შედეგების) შეფასების. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებაზე მეტყველებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „პროგრამის შეფასება". დაწესებულების წარმომადგენლებმა, მათ შორის 2022 წელს მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მომზადების ჯგუფის წევრებმა (რექტორის ბრძანებები #01-29,18.07.2023; #01-39, 15.07.2024) ისაუბრეს პროგრამის შეფასების და რეკომენდაციების შესრულების პროცესში განხორციელებულ აქტივობებზე და მიღებულ შედეგებზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ დღეისათვის მიმდინარეობს პროგრამის აკრედიტაციისა და ავტორიზაციისთვის მომზადების პროცესი. შესაბამისად რეკომენდაციების შესრულების პროცესი იყო კომპლექსური და მიმდინარეობდა სხვა სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები (მაგ., სტრუქტურული ერთეულების გაერთიანება, ახალი სტრუქტურული ერთეულების შექმნა), რაც გულისხმობს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ახლებურად ჩამოყალიბებას და საქმიანობის ახალი მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნას. აღნიშნულმა განაპირობა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასების შესახებ 2022 წელს მიღებული რეკომენდაციის შესრულების ფორმა (დღეისათვის გამოიყენება პერსონალის საქმიანობის შეფასება და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შეფასება მათი საქმიანობის საკმარისობის ჭრილში, მათ შორის სტუდენტების მიერ, მაგ., მათთვის გაწეული სერვისების შეფასების გზით, რაც ვიზიტის დროს დაადასტურეს ექსპერტებთან შეხვედრაში მონაწილე პირებმა). ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გადახედვა - განახლებული სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი იქნება დაწესებულებაში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბება, როდესაც მოხდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დეცენტრალიზაცია და ყველა იქნება ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ასევე, მოდიფიცირების პროცესი, გავრცელდება ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამის, მისი განხორციელების პროცესის და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების შეფასების მეთოდების და მექანიზმების გამოყენებაზე, მათ შორის კლინიკური სწავლების ბაზების

შეფასების მიმართულებით, რაც იყო მითითებული 2022 წელს მიღებულ რეკომენდაციაში (დღეისათვის შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა გამოკითხვები და კლინიკებში სტუდენტთა საქმიანობაზე დაკვირვების მექანიზმი (კლინიკური სუპერვაიზორობა და ხელმძღვანელობა), რაშიც დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტის „კლინიკური როტაციების განხორციელების, შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ თანახმად მოიაზრება: პირდაპირი ზედამხედველობა: კლინიკური სწავლების სესიების დაგეგმვა და ჩატარება პროგრამის შესაბამისად, სტუუდენტთა მუშაობის რეგულარული მიმოხილვა. ხელმღვანელების პასუხისმგებლობა ვრცელდება რამდენიმე მიმართულებაზე, მათ შორის არის სწავლების უსაფრთხო და რელევანტური გარემო (მაგ., სწავლების კლინიკური გარემოს უსაფრთმოების, ინფექციების და ეთიკური ნორმების დაცვის, ყველა სტუდენტისთვის თანაბარი, დაბალანსებული დატვირთვისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა და სხვ.). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, რეორგანიზაციის და მარეგულირებელ დოკუმენტებზე მუშაობის დასრულების შედეგად, დაიგეგმება და იქნება გამოყენებული სხვა მექანიზმებიც.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა დაწესებულების შესაძლებლობების (მათ შორის, რესურსების საკმარისობის) გათვალისწინებით - ითოეული აკადემიური წლისთვის გამოცხადებული მისაღები სტუდენტების რაოდენობა, რაც პირდაპირ კავშირშია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფასთან,

დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“ თანახმად, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის გამოიყენება ე. წ. PDCA პრინციპი, კერძოდ: იგეგმება შეფასებისა და რეაგირების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები, მათი სიხშირე, პერიოდი, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი ქმედებები, დაგეგმილი აქტივობები და განსახორციელებელი ღონისძიებები (Plan); დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, რეგულარულ შემოწმება, რომლის შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული მიმართულების/რესურსების/პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების მოდიფიკაცია ან კორექტირება (Do); დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შედეგების შეკრება, შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე მიღებული მონაცემების წარედგინება განხილვისა და რეაგირებისათვის (Check); შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად საჭირო ცვლილებების განხორციელება, გამოყენებულ მექანიზმებთან, მიდგომებთან ანდა განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების მეთოდების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება, პროცესის დახვეწა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, განსაზღვრავს გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს, რომელიც გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის განვითარებისათვის (Act). ექსპერტებისთვის წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში ობიექტური გარემოებების გამო ვერ მოხდებოდა ამ მიდგომის სრულად გამოყენება (პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები იყო გაცემული 2022 წელს, რის შემდგომ 2023-2024 პერიოდში განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება, შესაბამისად დღეისათვის ვერ მოხდებოდა მოდიფიცირებული პროგრამის სუსტი/გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირება, გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება და შედეგების შეფასება. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით იყო გამოყენებული 2022 წელს მიღებული რეკომენდაციები, რაც ასახული დოკუმენტში „მედიცინის ერთსაფეხურიან

პროგრამაში ცვლილებების ანალიზი“. პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე, ასევე ამ პროცესზე საუბრობდნენ ექსპერტებთან როგორც დაწესებულების ადმინისტრაცია, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელმაც ასევე აღნიშნა საანჯარიშო პერიოდში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების და ტრეინინგების (მაგ., სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, სწავლებაში ელექტრონული რესურსების და მეთოდების გამმოყენება, სხვ.) მნიშვნელობა. ასევე, რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ჩართულობა და სათანადო ხელშეწყობა.

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს: დაწესებულების საქმიანობის შემდგომ გავითარებაზე მიმართული სტრუქტურული ცვლილებები, კოლეგიალური მუშაობა, არსებული მექანიზმების გამოყენება (გამოკითხვები, ლექტორების შეფასება, პროგრამის შეფასებს), ხარისხის კულტურის დანერგვის ხედვა და ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მზაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რექტორის ბრძანებები #01-29,18.07.2023; #01-39, 15.07.2024
- „აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების პოლიტიკა (LOAP)“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“
- პროგრამის შეფასება უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ;
- „მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში ცვლილებების ანალიზი“;
- „პროგრამის შეფასება“:
- „კლინიკური როტაციების განხორციელების, შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- პერსონალის ტრეინინგების მასალები;
- განხორციელებული გამოკითხვების და შეფასებების ამსახველი დოკუმენტები;
- პერსონალის მუშაობის შეფასება (ფორმა);
- „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (მ.11,, პ.11);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, გამოყენებულია რამდენიმე გარე შეფასება, მათ შორის:

1. 2022 წელს პროგრამის აკრედიტაციის დროს მოქმედებდა ქვესტანდარტების სხვა სისტემა. დღეისათვის მოქმედი სისტემის მიხედვით, რეკომენდაციები გაცემულია ქვემოთ მითითებულ ქვესტანდარტებთან დაკავშირებით (შენიშვნა: რეკომენდაციები დაჯგუფებულია 2024 წელს მოქმედი სისტემის შესაბამისად). რეკომენდაციების შესრულბას ასახავს ქვემოთ მოცემული ცხრილი:

#	რეკომენდაცია	ინფორმაცია რეკომენდაციის შესრულების შესახებ
1.	*ქვესტანდარტი 1.4 - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი* უსდ-მ უნდა გადახედოს მოდულების წინაპირობებს და ლოგიკურად დაალაგოს ისინი. მოდულები სასწავლო გეგმის კონკრეტულ სფეროებში უნდა იყოს უფრო სტრუქტურირებული და საგნების თანმიმდევრობა არ უნდა არღვევდეს ერთმანეთზე აგების პრინციპს.	შესრულებულია
2.	*ქვესტანდარტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი* რეკომენდებულია სასწავლო გეგმის გადახედვა კურსების აკადემიურ-პროფესიული შინაარსის ურთიერთკავშირის საჩვენებლად, შესაძლო ხარვეზების, ზედმეტობის, გადაფარვების იდენტიფიცირებისთვის/ აღმოფხვრისთვის და პროგრამის საერთო თანმიმდევრულობის გასაუმჯობესებლად	შესრულებულია
3.	*ქვესტანდარტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი* კურსის/მოდულის შეფასების მეთოდები უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგთან დაკავშირებით და მის მიხედვით	შესრულებულია
4.	*ქვესტანდარტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი* უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სილაბუსში მითითებული უნარების ათვისების მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყოს კურსის/მოდულის შინაარსით და შეფასების მეთოდებით.	შესრულებულია
5.	*ქვესტანდარტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი* კურსების/მოდულების უმრავლესობის სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს და შეფასდეს, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის სწავლის შედეგებს	შესრულებულია
6.	*ქვესტანდარტი 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი* OSCE-ს ტესტების საკონტროლო სიები უნდა შეესაბამებოდეს კურსის მასალას	შესრულებულია

7.	*<u>ქვესტანდარტი 2.2 - პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u>* სასწავლო პროგრამას უნდა ჰქონდეს კარგად განსაზღვრული ყოვლისმომცველი კვლევის კონცეფცია, სადაც განსაზღვრული იქნება სამეცნიერო/გამოყენებითი კვლევითი მიზნები (დამოუკიდებლად ან როგორც თანამშრომლობითი კვლევითი ცენტრის ან ინტერდისციპლინარული პროგრამის ნაწილი), რაც ასევე აისახება დაწესებულების კვლევის განვითარების გეგმაში. საკმარისი ფინანსური, ლოგისტიკური და ადამიანური რესურსები უნდა იყოს გამოყოფილი ნებისმიერი დაგეგმილი/შემოთავაზებული კვლევის მიზნების მისაღწევად. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებში პერსონალის ჩართულობა, ეს გათვალისწინებული უნდა იქნას პერსონალის შეფასებაში და წახალისების კრიტერიუმების შემუშავების მხრივადაც	შესრულებულია
8.	*<u>ქვესტანდარტი 2.3 - სწავლება-სწავლის მეთოდები</u>* რეკომენდირებულია ბაზისურ დისციპლინებში ლაბორატორიული სწავლებისა და სწავლის მეთოდის უზრუნველყოფა სწავლის შედეგების მისაღწევად	შესრულებულია
9.	*<u>ქვესტანდარტი 2.4 - სტუდენტების შეფასება</u>* სილაბუსები უნდა მოიცავდეს გამჭვირვალე, ადვილად გასაგებ, კარგად განსაზღრულ ინტეგრირებულ შეფასების სისტემას	შესრულებულია
10	*<u>ქვესტანდარტი 2.4 - სტუდენტების შეფასება</u>* რეკომენდებულია, ყველა ინტეგრირებულ მოდულში ჩატარდეს ინტეგრირებული საბოლოო გამოცდები და ის მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სილაბუსებში და პროგრამაში	შესრულებულია
11	*<u>ქვესტანდარტი 4.1 - ადამიანური რესურსი</u>* უსდ-მ მკაფიოდ განსაზღვროს კლინიკური მენტორების/ხელმძღვანელების როლი, მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით; შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს.	შესრულებულია
12	*<u>ქვესტანდარტი 4.3 - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</u>* OSCE-ს გამოცდის უკეთ განხორციელებისთვის, საჭიროა აკადემიური პერსონალის გადამზადება	შესრულებულია
13	*<u>ქვესტანდარტი 5.1 - შიდა ხარისხის შეფასება</u>* უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს შიდა მექანიზმები ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შეფასებისთვის, რაც გულისხმობს კლინიკური სწავლების ბაზებსაც	შესრულებულია

2. პროგრამის შეფასება („აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება“), რომელიც განახორციელა ჩარლის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) პროფესორმა. შეფასების დოკუმენტში მიმოხლულია პროგრამის ძლიერი მხარეები - მაგ., პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმის დიზაინი, პროგრამის ორიენტირი პროფესიულ კომპეტენციაზე სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვით კლინიკური როტაციების, ეუთოსა და სიმულაციების მეშვეობით, სწავლებისა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის საფუძველზე სწავლა (CBL) და გუნდური სწავლება (TBL), რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს, მულტიკულტურულ და საერთაშორისო კონტექსტში პრაქტიკაში ეთიკურად და პასუხისმგებლობით საქმიანობის განხორციელებისთვის სტუენტების მომზადება და სხვ.. ამავე დასკვნაში გაცემულია რეკომენდაციები გაუმჯობესებისთვის - მაგ., საერთაშორისო თანამშრომლობისა და არჩევითი შესაძლებლობების გაფართოება, თანამშრომლობის დამყარება წამყვან საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულებებთან, მოწინავე სიმულაციური ტრენინგის ჩართვა სწავლის ყველა წლის განმავლობაში. დასკვნის სახით, გარე შემფასებელი აღნიშნავს, რომ „პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლასა და ეთიკურ პროფესიონალიზმზე ფოკუსირება უზრუნველყოფს იმას, რომ კურსდამთავრებულები იქნებიან კარგად მომზადებულნი თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკის გამოწვევებისთვის. პროგრამას შეუძლია კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი, როგორც ლიდერის პოზიცია სამედიცინო განათლებაში“. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს გარე შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის და აქვე აღნიშნეს, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციების (თანამშრომლობის დამყარება წამყვან საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულებებთან, რაც შექმნის გაცვლის, სტაჟირების და სპეციალიზებულ არჩევით კურსებს შესწავლის შესაძლებლობას, და გააფართოვებს გააფართოვებს სტუდენტების პერსპექტივებსა და გამოცდილებას) შესრულება პრობლემურია შემდგომში საქართველოში ამ კომპონენტებში მიღებული კრედიტების და შეფასებების აღიარების პროცესში. ასევე, გარკვეული სრთულეები არსებობს პროგრამის უცხოელი სტუდენტების კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის დანართები, მათ შორის დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები;
- უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლის მიერ პროგრამის გარე შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 ხარისხის შეფასება	**გარე**	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტებით „საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვილებების შეტანისა და განვითარების წესი"; „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება" განისაზღვრება ის მიდგომები და მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაზე, ეფექტიან იმპლემენტაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამების მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრისა და იმპლემენტაციის მიზნებს მიეკუთვნება: საქმიანობის დაგეგმვა და მონიტორინგი, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ჩართულობით; პროცესების ეფექტიანობის უზრუნველყოფა; საჭირო მონაცემების შეგროვების ადმინისტრირება და შემდგომი ანალიზი; შედეგების მუდმივი გაუმჯობესების ხელის შეწყობა.

დაწესებულებაში მოქმედი პროგრამები ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას დაწესებულებაში განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით, ფასდება დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მიმართულება, მათ შორის არის სწავლა-სწავლება და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებს, ამ პროგრამების განხრციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო პროცესსა და სტუდენტებს. დაწესებულებაში შემუშავებულია სპეციალური კითხვარები, რომელთა მეშვეობით მიიღება შეფასებები ამ პროგრამის სტუდენტების, მის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისაგან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სხვადასხვა წლებში განხორციელდა: პროგრამის შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ (2019); პროგრამის შეფასება უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ (2019); პროგრამის ინტეგრაციის, პრაქტიკული სწავლების და შეფასების მეთოდების შესახებ გამოკითხვა (2020, 2021); ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება (2023); 2022-2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის კურსების შეფასება სტუდენტთა მიერ (მათ შორის: კურსის შინაარსი, კურსის განხორციელებადობა, ლექტორის შეფასება, კომუნიკაცია, ინფორმაცია და რესურსები, საერთო შეფასება); 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსების შეფასება სტუდენტების მიერ (მათ შორის: კურსის შინაარსი, კურსის განხორციელებადობა, ლექტორის შეფასება, კომუნიკაცია, ინფორმაცია და რესურსები, საერთო შეფასება); 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსების შეფასება სტუდენტთა მიერ. ასევე, განხორციელდა პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის (ლექტორების) შეფასება. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შეფასებების შედეგები შეჯამებულია ერთიანი დოკუმენტის სახით, რომელიც მოიცავს როგორც დამსაქმებლების, სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირის, ასევე გარე შეფასების (უცხოელი ექსპერტები, აკრედიტაციის საბჭო) საფუძველზე პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს (შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით).

გამოკითხვების შედეგების შეგროვებას, ანალიზს და პასუხისმგებელ პირებთან (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და ვიცე-პრეზიდენტთან მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებების მიმართულებით) გაზიარებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შეფასების შედეგები გასათვალისწინებლად სავალდებულოა პროგრამის შემდგომი განვითარების დაგეგმვისათვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა (პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები) ისაუბრეს პროგრამის განვითარების მიზნით შეფასების შედეგების გამოყენებაზე. ასევე, აღნიშნეს, რომ განხორციელდა პროგრამის დადარება საქართველოს და უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან (მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრანმის განვითარება: ცნობილი საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო პროგრამების და მსოფლიო სტანდარტების ორიენტირები). დოკუმენტის თანახმად, პროგრამა იყო შემუშავებული სხვადასხვა კურიკულუმების ანალიზით (მაგ., დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (DTMU), საქართველო; ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი (UCL); ლონდონის იმპერიული კოლეჯი; Charité - Universitätsmedizin Berlin, გერმანია; კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, დანია). ასევე, დადასტურდა შესაბამისობა საერთაშორისო მარეგულირებელ სტანდარტებთან (ევროპის დირექტივა 2005/36/EC, მსოფლიო ფედერაციის (WFME) სამედიცინო განათლების მითითებები). ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგ-რამების დადარების შედეგებზე და აღნიშნა, რომ პროგრამები ძირითად ნაწილში მსგავსია, რადგან გამოყენებულია ყველასთვის საერთო სტანდარტები (საქართველოს უსდ-ების შემთხვევაში, ასევე, „მედიცინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი). ასევე, ექსპერტებთან შეხვედრაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა ასახავს პროგრამის გუნდის ხედვას და ისაუბრეს პროგრამის განვითარების შესაძლებლობებზე. ასევე, აღნიშნეს, რომ საერთაშორისო მიმართულებით მთავრდება მოლაპარაკებები (მაგ., Arizona State University), რაც სხნის წვდომას პარტნიორების რესურსებთან და პროგრამების კურიკულუმებთან და ხსნის დამატებით შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვილებების შეტანისა და განვითარების წესი“;
- „ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“;
- კითხვარების ფორმები;
- „მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაში ცვლილებების ანალიზი“;
- „პროგრამის შეფასება“. პროგრამის ცვლილებების ანალიზი:
- უცხოეთის უსდ-ს წარმომადგენლის მიერ პროგრამის გარე შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს აღმოსალეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით ჯიქია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გოდერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა		თამარ გვიანიშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა		შოთა სილაგაძე